ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 01-12-15-2/15026
„14“ 09 2006 წ.

ბატონ ოთარ დარჯანიას
(მის.: ქ.თბილისი, დოლიძის ქ.,
კორპ. №28, ბ.№14)

ბატონო ომარ,

თქვენი 2006 წლის 6 სექტემბრის № დ/6572 (№ 16394) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველო 2005 წლის მაისში შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომლის თანახმად აიღო ვალდებულება განახორციელოს ბოლონიის დეკლარაციის მოთხოვნები. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ სრულად ასახავს აღნიშნულ მოთხოვნებს და მის მიღებამდე არსებული ორი აკადემიური ხარისხის (ბაკალავრი და მაგისტრი) და ორი სამეცნიერო ხარისხის (მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი) მაგივრად შემოტანილია სამი აკადემიური ხარისხი (ბაკალავრი, მაგისტრი და დოქტორი). უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია **დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.** ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ თქვენი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი გათანაბრებულია **დოქტორის აკადემიურ ხარისხთან მედიცინაში.**

პატივისცემით,

ალექსანდრე დიდებულიძე

მინისტრის პირველი მოადგილე

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის ქ. 52; ტელეფონი: 95 99 12 ფაქსი: 95 32 13 / 95 51 99